



ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი

აკადემიური კეთილსინდისიერების
პოლიტიკა და მექანიზმები

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებები	4
მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი	4
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება	4
მუხლი 3. აკადემიური არაკეთილსინდისიერება	4
თავი II. პლაგიატი	4
მუხლი 4. პლაგიატის სახეები	4
მუხლი 5. პლაგიატის ფორმები	5
მუხლი 6. პლაგიატის პრევენცია	6
თავი III. აკადემიური არაკეთილსინდისიერების და პლაგიატის დადგენა	6
მუხლი 7. აკადემიური არაკეთილსინდისიერების და პლაგიატის ფაქტის გამოვლენა	6
მუხლი 8. ელექტრონულ პროგრამაში ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა	7
მუხლი 9. სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისია	7
თავი IV. პასუხისმგებლობა აკადემიური არაკეთილსინდისიერების და პლაგიატის ფაქტის გამოვლენისას	8
მუხლი 10. სანქციები აკადემიურ არაკეთილსინდისიერებაში შემავალი ქმედების ჩადენის შემთხვევაში	8
მუხლი 11. სანქციები სრულ პლაგიატში შემავალი ქმედების ჩადენის შემთხვევაში	8
მუხლი 12. სანქციები „კლონის“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	9
მუხლი 13. სანქციები „CTRL-C“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	9
მუხლი 14. სანქციები „CTRL-F“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	10
მუხლი 15. სანქციები „ხელახალი რაწირების“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	10
მუხლი 16. სანქციები „გადამუშავების“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	11
მუხლი 17. სანქციები „ჰიბრიდის“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	12
მუხლი 18. სანქციები „მოზაიკის“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	13
მუხლი 19. სანქციები „404 Error-ის“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	14
მუხლი 20. სანქციები „RSS Feed-ის“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	14
მუხლი 21. სანქციები „ხელახალი გამოქვეყნების“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	15
მუხლი 22. სანქციები „ნებადაურთავი თანამშრომლობის (collusion)“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	16
მუხლი 23. სანქციები თვით პლაგიატის (self plagiarism) ფაქტის დადგენის შემთხვევაში	17
მუხლი 24. სანქციები „თარგმანის“ ფაქტის დადგენის შემთხვევაში	17

მუხლი 25. სანქციები დახმარების მიღების უარყოფის (Failure to acknowledge assistance) ფაქტის დადგენის შემთხვევაში	18
მუხლი 26. სანქციები იღუპის პლაგიატის ფაქტის დადგენის შემთხვევაში	19
მუხლი 27. სანქციები სტილის პლაგიატის ფაქტის დადგენის შემთხვევაში	20

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. დოკუმენტის მიზანი

მოცემული დოკუმენტის მიზანია შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფა და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

- აკადემიური არაკეთილსინდისიერება** - ამ პოლიტიკის მიზნებისთვის აკადემიური არაკეთილსინდისიერება ნიშნავს აკადემიური მიღწევის (უპირატესობის) მოპოვებას საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის (მათ შორის აკადემიური შეფასება, გამოქვეყნება) არაკეთილსინდისიერი და უსამართლო გზით;
- პლაგიატი** - ამ პოლიტიკის მიზნებისთვის პლაგიატი ნიშნავს სხვისი ნაშრომის ან იდეის/იდეების წარმოდგენას საკუთარ ნაშრომად ავტორის მითითების გარეშე. ნაშრომში იგულისხმება როგორც გამოქვეყნებული ასევე გამოუქვეყნებელი მასალა (წიგნი, სტატია, ლექცია, თეზისი, სტუდენტური ესე, პროექტი და სხვა), როგორც ხელნაწერი, ასევე ნაბეჭდი ან ელექტრონული ფორმით. მასალა შეიძლება იყოს როგორც ტექსტი, ასევე ვიდეო-აუდიო ფაილები, ილუსტრაციები, გრაფიკები და ა. შ.

მუხლი 3. აკადემიური არაკეთილსინდისიერება

აკადემიური არაკეთილსინდისიერება მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- ✓ პლაგიატი;
- ✓ მონაცემების გაყალბება;
- ✓ სხვა პირის (მათ შორის სტუდენტის) ჩართვა აკადემიური მიღწევის დამსახურებაში;
- ✓ შეფასების დროს აკრძალული მასალის გამოყენება, მაგ., როგორცაა სახელმძღვანელო, კონსპექტი, კალკულატორი, ტელეფონი (სმარტფონი) და სხვა;
- ✓ შეფასების დროს სხვა სტუდენტისგან გადაწერის მცდელობა;
- ✓ კარნახი;
- ✓ სხვისი ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან შეცვლა;
- ✓ კონფიდენციალური ინფორმაციის/მასალის მოპოვება დავალების შესასრულებლად;
- ✓ და სხვა.

თავი II. პლაგიატი

მუხლი 4. პლაგიატის სახეები

1. **მიზანმიმართული/პირდაპირი პლაგიატი** - პლაგიატი, როდესაც პირმა იცის და გაცნობიერებული აქვს პლაგიატის არსი, მაგრამ, მიუხედავად ამისა სარგებლის (ქულა, აკადემიური ხარისხი, აღიარება ან/და მატერიალური სარგებელი) და უპირატესობის მიღების მიზნით გააზრებულად არღვევს წესებს;
2. **გაუფრთხილებელი/დაუდევარი პლაგიატი** - პლაგიატი, როდესაც პირი კარგად იცნობს პლაგიატის არსს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნაკლებ ყურადღებას აქცევს შესაბამისი წესების დაცვას და რიგ შემთხვევაში არ ზრუნავს ამ წესების დაცვაზე;
3. **შემთხვევითი/ირიბი პლაგიატი** - პლაგიატი, როდესაც პირმა არ იცის რა არის პლაგიატი, და შესაბამისად, ვერ აცნობიერებს ავტორის მითითების, მისი დამსახურების აღიარების აუცილებლობას, არ იცის, რომ ანალოგიური ნაშრომი არის სხვის მიერ შესრულებული ან/და შემთხვევით გამორჩა ავტორის მითითება.

მუხლი 5. პლაგიატის ფორმები

1. სრული პლაგიატი - სხვისი ნაშრომის წარდგენა საკუთარ ნაშრომად. ამ ნაშრომის მიღების სხვადასხვა გზის გამოყენებით: ინტელექტუალური საკუთრების ყიდვა ავტორისგან ან/და სააგენტოსგან, როგორც მათი ნებართვის, ასევე ნებართვის გარეშე; ნაშრომის თხოვნით შესრულება ლექტორის, კოლეგის, მეგობრის, ნათესავის ან/და ახლობელი ადამიანის მიერ;
2. „კლონი“ - ნაშრომი, რომელშიც სხვისი ტექსტი, სიტყვა-სიტყვითაა გამოყენებული და წარმოდგენილია როგორც საკუთარი;
3. „CTRL-C“ – ნაშრომი, რომელშიც ცვლილებების გარეშე ერთი წყაროდან ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილებია გადმოტანილი;
4. „CTRL-F“ – ნაშრომი, სადაც საკვანძო სიტყვები და ფრაზებია შეცვლილი, მაგრამ შენარჩუნებულია წყაროს არსებითი შინაარსი;
5. „ხელახალი რანჟირება“ - ნაშრომი, სადაც მრავალი წყაროდან გაკეთებული პარაფრაზებია ერთმანეთთან მორგებული;
6. „გადამუშავება“ - ნაშრომი, რომელშიც ავტორის წინა ნაშრომიდან დიდი ნაწილია გამოყენებული ციტირების გარეშე;
7. „ჰიბრიდი“ - ნაშრომი, რომელშიც იდეალურად ციტირებული წყაროებია კომბინირებული ციტირების გარეშე გადმოწერილ მონაკვეთებთან ერთად;
8. „მოზაიკა“ - ნაშრომი, სადაც შერეულია მრავალი წყაროდან გადმოწერილი მასალა;
9. „404 Error“ – ნაშრომი მოიცავს წყაროების შესახებ არარსებული ან არასწორი ინფორმაციის შემცველ ციტირებას;
10. „RSS Feed“ - ნაშრომი, რომელშიც წყაროები სათანადოდ არის მითითებული, თუმცა თითქმის არ შეიცავს ორიგინალურ ნამუშევარს;
11. „ხელახალი გამოქვეყნება“ - ნაშრომი, რომელშიც წყარო სათანადოდ არის მითითებული, მაგრამ ძალიან ახლოსაა ორიგინალურ ტექსტთან და/ან სტრუქტურასთან;
12. „ნებადაურთავი თანამშრომლობა (collusion)“ - ნაშრომის შემუშავებაში ჩართულია სხვა პირ(ებ)ი, ნაშრომის შესრულების გაიდლაინებისა და წესების დარღვევით, ნაშრომში არ არის მითითებული ამ პირ(ებ)ის მიერ შესრულებული სამუშაოს ნაწილი;
13. თვით პლაგიატი (self plagiarism) - საკუთარი ნაშრომის გამოყენება რეფერირების გარეშე სხვა ნაშრომში, ერთდროულად ერთი და იგივე ნაშრომის წარდგენა სხვადასხვა სარგებლის მიღების მიზნით ან/და უკვე შეფასებული ნაშრომის ხელახალი შეფასების მიზნით საკუთარი ნაშრომის გამოყენება;
14. თარგმანი - სხვისი ნაშრომის თარგმნა წყაროების მითითების გარეშე;

15. დახმარების მიღების უარყოფა (Failure to acknowledge assistance) - ნაშრომში არ არის აღნიშნული და აღიარებული სხვისგან მიღებული ისეთი დახმარება (იდეა, მოსაზრება და ა. შ.), რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის შესრულებაში;
16. იდეის პლაგიატი - სხვისი იდეის გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე;
17. სტილის პლაგიატი - წყაროში გადმოცემული აზრის ფეხდაფეხ მიყოლა, ავტორის ნაწერის სტილის საკუთარ ნაშრომში გამოყენება, თუნდაც წინადადებები შინაარსობრივად იყოს განსხვავებული.

მუხლი 6. პლაგიატის პრევენცია

1. პლაგიატის აცილებისა და პრევენციის მიზანია ინსტიტუციის ფარგლებში მოწინავე სამეცნიერო-კვლევით მიღწევებზე ბაზირებული კვლევის წარმოება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით;
2. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტი იღებს აკადემიური წერის უნარების განვითარების ვალდებულებას სწავლის სამივე საფეხურზე. აკადემიური წერის უნარების განვითარება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამებში როგორც აკადემიური წერის დამოუკიდებელი სასწავლო კურსების, ასევე არსებული სასწავლო კურსების ფარგლებში მიცემული წერთი დავალებების მეშვეობით;
3. პლაგიატის პრევენციის მიზნით სავალდებულოა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აკადემიურ-საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ კომპონენტებში ისეთი დავალებებისა და შეფასებების კრიტერიუმების ჩართვა, რაც განუვითარებს სტუდენტს სხვისი ნაშრომის გაანალიზებისა და დამოუკიდებელი, არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარს;
4. პლაგიატის პრევენციის მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგ მხარდამჭერ სერვისებს:
 - ✓ ელექტრონული სახელმძღვანელოები;
 - ✓ რეგულარული კონსულტაციები დაინტერესებული პირებისთვის;
 - ✓ ადმინისტრაციის მხრიდან დარღვევებზე მყისიერი რეაგირება.

თავი III. აკადემიური არაკეთილსინდისიერების და პლაგიატის დადგენა

მუხლი 7. აკადემიური არაკეთილსინდისიერების და პლაგიატის ფაქტის გამოვლენა

1. აკადემიური არაკეთილსინდისიერების და პლაგიატის ფაქტის გამოვლენა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს - სამეცნიერო ხელმძღვანელს, რეცენზენტს, ადმინისტრაციის თანამშრომელს, საგამოცდო ცენტრის წარმომადგენელს, აკადემიურ პროცესში ჩართულ შესაბამის პირს.
2. უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოჩენისთვის გამოიყენება - პროგრამული უზრუნველყოფის „Strikeplagiarism.com“-ის მექანიზმი. ის გამოიყენება ნაშრომის ორიგინალობის შესამოწმებლად. „Strikeplagiarism.com“-ის მეშვეობით ხდება ნაშრომის ტექსტის შედარება პროგრამის ბაზებში არსებულ ინფორმაციასთან და აჩვენებს თანხვედრის პროცენტულ მაჩვენებელს. პროგრამა არ ადგენს პლაგიატს, ის მხოლოდ დამხმარე ინსტრუმენტია.

3. ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამის მიერ პლაგიატის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით ნაშრომი დასკვნისთვის გადაეცემა სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისიას.
4. კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ (მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურზე) პლაგიატის ფაქტის დადგენისას განიხილება კვალიფიკაციის გაუქმების საკითხი.

მუხლი 8. ელექტრონულ პროგრამაში ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა

1. კომპიუტერული ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com“-ის პროგრამის (შემდგომში პროგრამა) გამოყენების პროცედურები დაწვრილებით არის გაწერილი „შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესში“.
2. პროგრამა „Strikeplagiarism.com“-ის მეშვეობით ხდება შემდეგი ნაშრომების შემოწმება:
 - ✓ უნივერსიტეტის სახელით გამოსაქვეყნებლად წარდგენილი მასალა (სტატია, მონოგრაფია, სახელმძღვანელო და ა. შ.);
 - ✓ უნივერსიტეტის სახელით საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციაზე წარსადგენი მასალა;
 - ✓ დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი;
 - ✓ სამაგისტრო ნაშრომი;
 - ✓ საბაკალავრო ნაშრომი;
 - ✓ რიგ შემთხვევებში, თუ პროგრამაში ან/და სასწავლო კურსის სილაბუსში იქნება ამის მითითება, სასწავლო კურსის ფარგლებში შესრულებული პროექტი/დავალება.

მუხლი 9. სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისია

1. სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისია იქმნება სკოლის დეკანის ბრძანების საფუძველზე.
2. სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისიის შემადგენლობაში შედიან:
 - ✓ სკოლის დეკანი;
 - ✓ სკოლის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი;
 - ✓ სკოლის კვლევითი ცენტრის (ინსტიტუტის) დირექტორი/დირექტორები;
 - ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
 - ✓ სკოლის ორი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი.
3. სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომის შეფასების კომისიის მიზნობრიობის, ასევე საკვლევი თემატიკის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება კომისიის მუშაობაში მოწვეულ იქნეს დარგის ექსპერტი/ექსპერტები.
4. სამეცნიერო/კვლევითი ნაშრომი საჯარო დაცვაზე, გამოსაქვეყნებლად ან შეფასების შემდეგ ეტაპზე დაიშვება მხოლოდ კვლევითი კომპონენტის განვითარების კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

თავი IV. პასუხისმგებლობა აკადემიური არაკეთილსინდისიერების და პლაგიატის ფაქტის გამოვლენისას

მუხლი 10 . სანქციები აკადემიურ არაკეთილსინდისიერებაში შემავალი ქმედების ჩადენის შემთხვევაში

სტუდენტის მიერ აკადემიურ არაკეთილსინდისიერებაში შემავალი ქმედების ჩადენის დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სანქციები:

- ✓ მონაცემების გაყალბების შემთხვევაში ხდება საქმის გადაცემა დისციპლინარული ორგანოსთვის;
- ✓ სტუდენტის მიერ აკადემიური მიღწევის დამსახურებაში სხვა პირის ჩართვის შემთხვევაში ხდება საკითხის გადაცემა დისციპლინარული ორგანოსთვის;
- ✓ შეფასების დროს აკრძალული მასალის გამოყენების შემთხვევაში ხდება ნაშრომის განულება, დავალების შემდგომი აღდგენის გარეშე და სიტყვიერი გაფრთხილება. აღნიშნული ქმედების განმეორებით დაფიქსირებისას ხდება ნაშრომის განულება, დავალების შემდგომი აღდგენის გარეშე და სტუდენტის წერილობითი გაფრთხილება სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან;
- ✓ შეფასების დროს სხვა სტუდენტისგან გადაწერის მცდელობის შემთხვევაში ხდება ნაშრომის განულება, დავალების შემდგომი აღდგენის გარეშე და სიტყვიერი გაფრთხილება. აღნიშნული ქმედების განმეორებით დაფიქსირებისას ხდება ნაშრომის განულება, დავალების შემდგომი აღდგენის გარეშე და სტუდენტის წერილობითი გაფრთხილება სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან;
- ✓ შეფასების დროს სხვა სტუდენტისთვის კარნახი იწვევს ნაშრომის განულებას, დავალების შემდგომი აღდგენის გარეშე და სიტყვიერ გაფრთხილებას. აღნიშნული ქმედების განმეორებით დაფიქსირებისას ხდება ნაშრომის განულება, დავალების შემდგომი აღდგენის გარეშე და სტუდენტის წერილობითი გაფრთხილება სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან;
- ✓ სხვისი ნაშრომის მოპარვა, განადგურება და შეცვლა იწვევს საკითხის გადაცემას დისციპლინარული ორგანოსთვის;
- ✓ დავალების შესასრულებლად კონფიდენციალური ინფორმაციის/მასალის მოპარვის შემთხვევაში საკითხი გადაეცემა დისციპლინარულ ორგანოს.

მუხლი 11. სანქციები სრულ პლაგიატში შემავალი ქმედების ჩადენის შემთხვევაში

1. ბაკალავრიატში სრული პლაგიატის დადგენის შემთხვევაში სასწავლო კურსი/კვლევითი კომპონენტი შეფასდება ნულოვანი შეფასებით და სტუდენტს მიეცემა წერილობითი გაფრთხილება. ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში საკითხი გადაეცემა დისციპლინარულ ორგანოს.
2. მაგისტრატურაში სრული პლაგიატის დადგენის შემთხვევაში სასწავლო კურსი/კვლევითი კომპონენტი შეფასდება ნულოვანი შეფასებით და საკითხი გადაეცემა დისციპლინარულ ორგანოს.
3. დოქტორანტურაში სრული პლაგიატის დადგენის შემთხვევაში სასწავლო კურსი/კვლევითი კომპონენტი შეფასდება ნულოვანი შეფასებით და საკითხი გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს.

7. დოქტორანტურაში ნებისმიერი სახით სტილის პლაგიატის ფაქტის დადგენის შემთხვევაში სასწავლო კურსი/კვლევითი კომპონენტი შეფასდება ნულოვანი შეფასებით და საკითხი გადაეცემა სადისერტაციო საბჭოს.